2023 წლის 6 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ

შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა - 3002

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამულ იკოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	6 თვის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი არსებობის შემთხვევაში)
30 02	<u>სახელმწიფო საზღვრის დაცვა</u>	124 630,0	124 630,0	60 001,1	48,1%	-

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჰაერო ფლოტის მხარდაჭერა.

2023 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (398 ფაქტი დაკავებულია 377 პიროვნება):

- დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის 138 საქმეზე, დაკავებულია 117 პირი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 260 ფაქტი, დაკავებულია 260 პირი.

2023 წლის 6 თვეში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 670 260 ლარი .